



# Newsletter

January 2010  
№12

მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული  
პირების რეგისტრაცია საქართველოში

2010 წლის 1 იანვრიდან ძალაში შევიდა საკანონმდებლო ცვლილებები, რომლის თანახმადაც საქართველოში იურიდიული პირის რეგისტრაციას აწარმოებს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საჯარო რეგისტრის ეროვნულ სააგენტო. შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებები შევიდა „საქართველოს სამოქალაქო კოდექსში“, საქართველოს კანონში „მეწარმეთა შესახებ“ და საქართველოს კანონში „სახელმწიფო რეგისტრის შესახებ“.

ქართული კანონმდებლობის თანახმად საქართველოში სახელმწიფო აწარმოებს შემდეგი სახის რეგისტრს:

- ა) სამოქალაქო რეგისტრი;
- ბ) მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეგისტრი;
- გ) მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების (პარტიების) რეგისტრი;
- დ) ნორმატიული აქტების რეგისტრი;
- ზ) საჯარო რეგისტრი.

გარდა აღნიშნულისა კანონმდებლობა არ კრძალავს სხვა სახის რეგისტრის წარმოებას თუ ეს პირდაპირ არის განსაზღვრული კანონით.

2010 წლის 1 იანვრამდე, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის თანახმად მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეგისტრს აწარმოებდა საქართველოს ფინანსთა სამინისტრო უფლებამოსილი ორგანოს მეშვეობით, ხოლო კანონმდებლობაში შესული ცვლილებების გამო აღნიშნული სახეობის რეგისტრის წარმოება დაევალა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირს – საჯარო რეგისტრის ეროვნულ სააგენტოს.

კანონის თანახმად მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეგისტრი არის მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების შესახებ მონაცემთა სისტემური ერთობლიობა. მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეგისტრში ხდება ყველა იმ პირის რეგისტრაცია, რომელიც წარმოიქმნება „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირები) ნორმებით განსაზღვრული ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა გააჩნია. იურიდიული პირი წარმოშობილად ითვლება მხოლოდ მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეგისტრში რეგისტრაციის მომენტიდან, მისი არსებობა კი დგ-

ინდება შესაბამისი ამონაწერით მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან. კანონმდებლობაში შესული ცვლილებების თანახმად აღნიშნულ ამონაწერს აქვს იგივე იურიდიული ძალა, რაც საგადასახადო რეგისტრაციის მოწმობას. რეგისტრაცია თავის მხრივ მოიცავს როგორც სახელმწიფო, ისე საგადასახადო რეგისტრაციას. რეგისტრაციის დროს პირს მიენიჭება საიდენტიფიკაციო ნომერი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

1. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, უცხო ქვეყნის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ფილიალის (წარმომადგენლობის) რეგისტრაცია.

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის რეგისტრაცია.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსით განსაზღვრული, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის რეგისტრაციისათვის დაინტერესებულმა პირმა საჯარო რეესტრში უნდა წარადგინოს შესაბამისი განცხადება, რომელსაც უნდა დაერთოს სარეგისტრაციო მომსახურების საფასურის დამადასტურებელი დოკუმენტი, ხელმოწერის ნიმუში, რომელსაც ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირი გამოიყენებს საქმიანობაში, ნოტარიულად ან სათანადო წესით შედგენილი ცნობა არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ადგილსამყოფელის (იურიდიული მისამართი) შესახებ. განცხადებას გარდა ჩამოთვლილისა უნდა დაერთოს ყველა პარტნიორის (დამფუძნებლის) სანოტარო წესით დამოწმებული სადამფუძნებლო დოკუმენტები (წესდება/წევრთა შეთანხმება), რომელშიც უნდა მიეთითოს:

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის სახელწოდება, მონაცემები ადგილსამყოფელის (იურიდიული მისამართის) შესახებ, საქმიანობის მიზანი, თითოეული დამფუძნებლის მონაცემები უნდა იქნეს შეტანილი ცალცალკე და ეს მონაცემები უნდა იყოს სრული (როგორც იურიდიული ისე ფიზიკური პირები), სრული მონაცემები ხელმძღვანელი ორგანოების, მისი შექმნის წესის და უფლებამოსილების ვადის შესახებ, ხელმძღვანელი ორგანოს გადაწყვეტილების მიღების წესის შესახებ, წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირების შესახებ ინფორმაცია, მისი არჩევის წესი და უფლებამოსილების ვადა, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის წევრობის და წევრობიდან გასვლის წესის შესახებ თუ კი იგი წევრობაზე დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირია, რეორგანიზაციის და ლიკვიდაციის შესახებ გადაწყვეტილების მიმღები ორგანოს (პირის) დასახელება, ამ გადაწყვეტილების მიღების წესი და პროცედურა.

ცვლილებების და ფილიალების რეგისტრაცია.

საქართველოში რეგისტრირებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ფილ-

იალს (წარმომადგენლობას) ცალკე რეგისტრაცია არ ესაჭიროება. რაც შეეხება უცხო ქვეყნის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ფილიალს (წარმომადგენლობას), საქართველოში დაარსებისათვის აუცილებელია მისი დარეგისტრირება, რისთვისაც დაინტერესებულმა პირმა მარეგისტრირებელ ორგანოში (საჯარო რეესტრში) უნდა წარადგინოს შემდეგი საბუთები: განცხადება ფილიალის (წარმომადგენლობის) რეგისტრაციის შესახებ; ქართული კანონმდებლობის შესაბამისად დამოწმებული უცხო ქვეყნის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის გადაწყვეტილება ფილიალის ხელმძღვანელის დანიშვნის ან მინდობილობა პირისათვის ხელმძღვანელობის უფლებამოსილების მინიჭების შესახებ; საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად დამოწმებული, ამ კანონით დადგენილი მონაცემები არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის და მისი ხელმძღვანელის შესახებ.

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, უცხო ქვეყნის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ფილიალის (წარმომადგენლობის) მიერ განხორციელებული ცვლილებები, რომლებიც იწვევს მათ სადამფუძნებლო დოკუმენტაციაში (წესდება/წევროთა შეთანხმება) ცვლილებებს საჭიროებს სავალდებულო რეგისტრაციას, აღნიშნული ცვლილება განხორციელებულად ითვლება მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში მისი რეგისტრაციის მომენტიდან. დაინტერესებული პირის მიერ განცხადება სათანადო ცვლილებების განხორციელების შესახებ წარდგენილ უნდა იქნეს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის რეგისტრაციისათვის დადგენილი ფორმის შესაბამისად, ამ განცხადებას თან უნდა დაერთოს: ცვლილებების თაობაზე უფლებამოსილი პირის (ორგანოს) მიერ მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისი წესით დამოწმებული დოკუმენტი, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ფილიალის (წარმომადგენლობის) ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობით უფლებამოსილების მქონე პირის (პირების) შესახებ სათანადო წესით დამოწმებული დოკუმენტი; მომსახურების საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი; იმ შემთხვევაში, თუ იცვლება არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ფილიალის (წარმომადგენლობის) ადგილსამყოფელი, დამატებით წარდგენილ უნდა იყოს ცნობა ახალი ადგილსამყოფელის (იურიდიული მისამართის) შესახებ.

### რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძვლები და რეგისტრაციის გაუქმება.

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, უცხო ქვეყნის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ფილიალის (წარმომადგენლობის) შეიძლება უარი ეთქვას რეგისტრაციაზე, იმ შემთხვევაში თუკი რეგისტრაცია ეწინააღმდეგება მოქმედ სამართალს, აღიარებულ ზნეობრივ ნორმებს ან საქართველოს კონსტიტუციურ-სამართლებრივ პრინციპებს; განცხადება რეგისტრაციის შესახებ არ არის შედგენილი კანონით განსაზღვრული ფორმით ან სრულად არ ერთვის და სათანადო წესით არ არის გაფორმებული დოკუმენტაცია. იმ შემთხვევაში თუ დაინტერესებული

პირის მიერ წარდგენილი დოკუმენტები არ ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციურ-სამართლებრივ პრინციპებს, მარეგისტრირებელი ორგანო აძლევს 30-დღიან ვადას ხარვეზის აღმოსაფხვრელად, თუ კი ხარვეზი ამ ვადაში არ იქნა აღმოფხვრილი მარეგისტრირებელი ორგანო უფლებამოსილია (და არა ვალდებული) მიიღოს გადაწყვეტილება რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ. ასევე ხარვეზის შევსების 30-დღიანი ვადაა გათვალისწინებული თუ არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი რეგისტრირებულია მაგრამ იგი არ აკმაყოფილებს რეგისტრაციისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ პირობებს, ან ეს პირობები მოგვიანებით ისპობა, აღნიშნული ვადის დენა იწყება გამოსასწორებელი ხარვეზის აღმოჩენის მომენტიდან, თუ კი დაინტერესებული პირის მიერ დროულად არ იქნა აღმოფხვრილი მან ან მარეგისტრირებელმა ორგანომ უნდა მიმართონ სასამართლოს ლიკვიდაციის პროცესის დასაწყებად. რეგისტრაცია უქმდება მხოლოდ ლიკვიდაციის პროცესის დასრულების შემდეგ.

## 2. მეწარმე სუბიექტის რეგისტრაცია.

### მეწარმე სუბიექტის რეგისტრაცია

საქართველოს კანონით „მეწარმეთა შესახებ“ განსაზღვრული სამართლებრივი ფორმის მქონე მეწარმე სუბიექტი წარმოშობილად ითვლება მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან, რეგისტრაცია მოიცავს როგორც სახელმწიფო, ისე საგადასახადო რეგისტრაციას და მისი არსებობა დგინდება შესაბამისი ამონაწერით. გადაწყვეტილება სუბიექტის მეწარმეთა რეგისტრაციის შესახებ იურიდიულ ძალაში შედის მხარისათვის ოფიციალურად გაცნობის ან მისი გამოქვეყნებისთანავე. რეგისტრაცია ხდება დაინტერესებული პირის მიერ განცხადებული მისამართის (იურიდიული მისამართი) მიხედვით, რეგისტრაციის დროს საწარმოსთვის ან უცხო ქვეყნის საწარმოს ფილიალისთვის საიდენტიფიკაციო ნორმის მინიჭება ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

### ცვლილებების რეგისტრაცია და რეგისტრაციაზე უარი.

საწარმოს მიერ განხორციელებული ცვლილებები, რომლებიც იწვევს მათ სადამფუძნებლო დოკუმენტაციაში ცვლილებებს საჭიროებს სავალდებულო რეგისტრაციას, აღნიშნული ცვლილება განხორციელებულად ითვლება მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში მისი რეგისტრაციის მომენტიდან. სარეგისტრაციო მონაცემთა ცვლილებების შესახებ განცხადებას თან უნდა დაერთოს, საწარმოს ყველა პარტნიორის მიერ ხელმოწერილი და სანოტარო წესით დამოწმებული წესდება ან პარტნიორთა შეთანხმება ცვლილებების გათვალისწინებით. თუ კი

ცვლილებები ეხება მხოლოდ საწარმოს ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირს ან პროკურისტს (ასეთის არსებობის შემთხვევაში), მარეგისტრირებელ ორგანოში საწარმოს წესდების წარდგენა არაა სავალდებულო. აღნიშნული ცვლილებები ძალაშია მხოლოდ მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან.

მარეგისტრირებელმა ორგანომ საწარმოს რეგისტრაციაზე ან ცვლილებების რეგისტრაციაზე შესაძლებელია უთხრას უარი თუ წარდგენილი არ არის საქართველოს კანონით „მეწარმეთა შესახებ“ საწარმოს რეგისტრაციისაგვის საჭიროე ყველა დოკუმენტები სრულად, სარეგისტრაციოდ წარდგენილია ცრუ, არაიდენტიფიცირებადი ან არასრული მონაცემები და არ არის გადახდილი მომსახურების საფასური, თუ სარეგისტრაციო დოკუმენტებში აღმოჩენილი იქნა აღნიშნული ხასიათის ხარვეზი განმცხადებელს ეძლევა 30-დღიანი ვადა ხარვეზის გამოსასწორებლად. თუ ამ ვადაში არ აღმოფხვრა ხარვეზი მარეგისტრირებელი ორგანო უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება საწარმოს რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ, ასეთ შემთხვევაში განმცხადებელს უბრუნდება წარდგენილი დოკუმენტები მომსახურების საფასურის გადახდის დამდასტურებელი დოკუმენტის გარეშე. საწარმოს რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილება შესაძლებელია გასაჩივრდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრის საჯაროობა.

მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში შეტანილი მონაცემები საჯაროა. ნებისმიერ პირს შეუძლია გაეცნოს ამ მონაცემებს და მარეგისტრირებელი ორგანოდან მიიღოს ამონაწერი რეესტრიდან, რაც მარეგისტრირებელი ორგანოს მიერ უნდა გაიცეს დაუყოვნებლივ, პირის მოთხოვნისთანავე. რეგისტრირებული მონაცემების მიმართ მოქმედებს უტყუარობისა და სისრულის პრეზუმცია, გარდა იმ შემთხვევისა, თუ დაინტერესებული პირისათვის წინასწარ იყო ცნობილი ამ მონაცემების უზუსტობის შესახებ.

ამდენად, განხილული საკანონმდებლო ცვლილებები მომართულია რათა დაინტერესებული პირის მიერ უსწრაფესად მოხდეს რეგისტრაციის პროცედურის გავლა და ნებისმიერმა პირმა ოპერატიულად უმოკლეს დროში შესძლოს გაეცნოს რეესტრის ამონაწერს ამა თუ იმ მეწარმესა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირზე.

კს. „გეწაძე და პატეიშვილის“  
ადვოკატი

დავით იაკობაშვილი  
*David Jacobashvili*